საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

№3- 431 03.10.2019

სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

დაგვიკავშირდა მოქალაქე ლელა ქსოვრელი, რომელმაც სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზს მიმართა მაღაზიაში სურსათის უვნებლობის პირობების დარღვევის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, არაადეკვატური პასუხი მიიღო.

კერძოდ, მოქალაქის შეფასებით, მის მიერ შეძენილი ხიზილალა იყო ფალსიფიცირებული და მასში არასაკვები ნივთიერებები იყო. სეს-მა მაღაზიაში არსებული შენახვის პირობები და პროდუქტის ვარგისიანობის ვადები შეამოწმა (რის შედეგადაც დარღვევები არ დაუფიქსირებია), მაგრამ პროდუქტის შიგთავსი არ შეუმოწმებია.

სეს-ის პასუხის მიღების შემდეგ, მოქალაქემ ჩვენ გვთხოვა აღნიშნული პროდუქტის შემოწმება, მაგრამ ეს უკანასკნელი მაღაზიაში უკვე აღარ აღმოჩნდა.

მოქალაქე თვლის, რომ სეს-მა არასწორი რეაგირება მოახდინა მის მიმართვაზე და არამიზნობრივად დახარჯა სახელმწიფო რესურსი.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ვთვლით, რომ მოქალაქეს მართლაც გააჩნია პრეტენზიის საფუძველი.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მოუწოდებს მოქალაქეებს სეს-ის ცხელ ხაზს მიმართონ. მიგვაჩნია, რომ სეს-სა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის ეს ინსტრუმენტი ძალზე მნიშვნელოვანია ბაზარზე არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად და სეს-ისადმი მოქალაქეთა ნდობის განსამტკიცებლად, რასაც ზემოთ აღწერილი ფაქტი ჩრდილს აყენებს.

გთხოვთ შეისწავლოთ მოცემული შემთხვევა და შესაბამისი ზომები მიიღოთ, იმისათვის, რათა სეს-ის ცხელმა ხაზმა სერიოზული ხარვეზების გარეშე იმუშაოს.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი რეაგირების შესახებ, რათა ეს ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი

დანართი: მოქალაქის მიმოწერა სეს-თან (3 გვერდი) და პროდუქტის ფოტოები (2 ფაილი).

საკითხს აშუქებს მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge